ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-011811156**

თარიღი: **21.04.2018**

ადრესატი:
თეიმურაზ ბოლოთაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - სამსახურის უფროსი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2018 წლის 02 მარტის #AR1581527 განცხადება და თანდართული გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში, თქვენს მიერ შემოთავაზებული გასამწვანებელი მცენარეების რაოდენობა (გადარგვის ფარგლებში გადასარგავი 52 (ორმოცდათორმეტი) ძირი ტუიის ბუჩქი და 2 (ორი) ძირი ცაცხვი, ასევე, 10 (ათი) ძირი ელდარის ფიჭვი), სრულად ვერ ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (814.872/2695=0.3).

ასევე, გაცნობებთ, რომ მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონთან მიმართებით. ამდენად, გთხოვთ, გამწვანების პროექტში უკვე არსებული 64 (სამოცდაოთხი) ერთეული ხე-მცენარის გარდა გაითვალისწინოთ არანაკლებ 15 (თხუთმეტი) ძირი წიწვოვანი ანდა ფოთლოვანი ხე (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი).

დამატებით გაცნობებთ, რომ დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა აარჩიოთ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-3 ნაწილის საფუძველზე, გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა 20 დღის ვადაში.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გიგა გიგაშვილი